არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის **2016** წლის **28** იანვრის **N41** დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან.

სარჩევი

ქ. თბილისში, ჭყონდიდელის ქუჩა N22-ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი N2) სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შეფასების ანგარიში 1

შესწავლის საგანი: 3

დამკვეთის რეკვიზიტები: 3

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები: 3

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: 4

ტექნიკური რეგლამენტები: 4

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე: 4

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: 5

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ 5

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა 5

1. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა: 7
2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები: 8

დაკავებულობები 8

დაკავებულობების დატვირთვები 9

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი: 10
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება: 12
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება: 13
6. მისაწვდომობის შეფასება 14
7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება: 15
8. იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება 16
9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება: 16
10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება: 16
11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება: 18

დასკვნა: 19

ილუსტრაციების ნუსხა

სურათი 1. 3დ ვიზუალიზაციის გვერდი 7

კომპონენტების ნუსხა

კომპონენტების ნუსხა 1 8

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. სივრცეების დ.დ. 9
ცხრილი 2. სართულების დ.დ. 10
ცხრილი 3. სიმაღლე და ფართობები 10
ცხრილი 4. სიმაღლე და ფართობი შესაბამისი წესებიდან 11
ცხრილი 5. გარე კედლების ცეცხლემედეგობის შეფასება 11
ცხრილი 6. საერთო სავალი ბილიკის შეფასება 12
ცხრილი 7. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის 12
ცხრილი 8. მაქსიმალური სავალი მანძილები 13
ცხრილი 9. დერეფნების ცეცხლმედეგობა 13
ცხრილი 10. გამტარუნარიანობის შეფასება 14
ცხრილი 11. დერეფნის სიგანე 14
ცხრილი 12. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან 15
ცხრილი 13. დაკავებულობების გამოჯვნის ცხრილი 16
ცხრილი 14. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები 18

ექსპერტიზა

შესწავლის საგანი:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი N2) (*შემდეგში საპროექტო ობიექტი*) სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილის (*შემდეგში ტექნიკური დოკუმენტაცია*) ტექნიკური რეგლამენტებთან (*მითითებულია ქვევით*) შესაბამისობა.

დამკვეთის რეკვიზიტები:

- დასახელება: შპს „გრადბურგ დეველოპმენტი“
- საიდენტიფიკაციო კოდი: 404497656
- მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ილია და ნინო ნაკაშიძეების შესახვევი ქ. N 5

+(995) 597 600 009

საპროექტო შენობ(ებ)ის რეკვიზიტები:

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.12.12.024.196
- მესაკუთრე: შპს „გრადბურგ დეველოპმენტი“
- მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის ქ.N 22
- განაშენიანების რეგულირების გეგმა (*შემდეგში გრგ*): **ბრძანება** № 01/1819 (12/19/2008) ცვლილება (ბრძანება №115, 17/04/2015)
- საპროექტო შენობა/ნაგებობა:
  - ფუნქცია: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბლოკი N2
  - რაოდენობა: 1
- კლასის განმსაზღვრელი პარამეტრები: [1]

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	*შენობის ფუნქციური დანიშნულება*
S_{k-2} = 5559.0 კვ. მ	*შენობის **K-2** კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი*
H = 42,6 მ	*შენობის სიმაღლე*
D = 2.60 მ	*შენობის ჩაღრმავება*
L = 6.7 მ	*შენობის მაქსიმალური მალის სიგრძე*

მშენებლობის კლასი: IV

[1] მიიღება ის, რომელსაც ეხება შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები და ჩაუტარდა ექსპერტიზა (იხ. თავი: ტექნიკური რეგლამენტები). შენიშვნა: რაკი ორივე IV კლასია, მიღებულია ყველაზე მაღალი პარამეტრების მქონე ბლოკიდან.

ტექნიკური დოკუმენტაციის რეკვიზიტები: [2]

- ტექნიკური დოკუმენტაცია (*შემდეგში ტდ*): სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი; თბილისი, 2021 წ.
- კონტრაქტორი პირი: შპს „გრადბურგ დეველოპმენტი“
- არქიტექტორი/სპეციალისტი: ლევან ძაგნიძე
- ტდ ფორმატი: CAD და PDF ფაილის ფორმატები.
- საჯარო რესურსი: http://tas.ge/

ტექნიკური რეგლამენტები: [3]

1. ტექნიკური რეგლამენტი – **„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესი“**, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 15.01.201.46 წ N61 დადგენილებით – [**ref.#: 61**];
2. საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წ დადგენილება N57 **„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“** – [**ref.#: 57**];
3. ტექნიკური რეგლამენტი – **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წ N41 დადგენილებით – [**ref.#: 41**].

ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები შესაბამისობაზე:

1. **ref.#: 57**, მუხლი 47. არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა: [4]

   ა) ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე;

   ბ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზს;

   გ) სიტუაციურ გეგმას – მ 1:2000 ან მ 1:1000;

   დ) არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას (შორი და ახლო ხედებით, თარიღის მითითებით);

   ე) მიწის ნაკვეთის გეგმას (კოორდინატების მითითებით) – მ 1:500 ან მ 1:250:

   ვ) სართულის გეგმები ყველა დონეზე და სახურავის გეგმა – მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:

   ზ) შენობა-ნაგებობის განივი ან/და გრძივი ჭრილ(ებ)ი - მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:

   თ) შენობა-ნაგებობის ყველა ფასადს - მ 1:200, მ 1:100 ან/და მ 1:50:

   ი) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის დაკავებულობებისა და გასასვლელი საშუალებების გეგმებს - მ 1:200 ან/და მ 1:100:

   კ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის გზა-კიბეების, პანდუსების, მოაჯირებისა და სახელურების შესაბამისობას შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან ნახაზების სახით - მ 1:50 ან/და მ 1:20;

   ლ) III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის გეგმებს - მ 1:200:

2. **ref.#: 57**, თავი XVII. IV კლასის შენობა-ნაგებობები.

---

[2] რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა.

[3] რომლის საფუძველზეც ან/და რომელთა მიმართებაშიც შემოწმდა ტექნიკური დოკუმენტაცია.

[4] სრულად მოცემულია იქვე. არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაძლებელია წარდგენილი იყოს შეთავსებული სახით.

3. ref.#: 41, მუხლი 2:

„1. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე.

2. იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინამდებარე წესები უფრო ხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს და მის გამოყენებაზე მოთხოვნას აყენებს განმცხადებელი.

3. თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.“

შეფასების საგანი და შესაფასებელი კომპონენტები: [5]

საპროექტო ობიექტის შესაბამისობა რეგლამენტთან შემდეგ კომპონენტებში:

ა) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
ვ) მისაწვდომობის შეფასებას;
ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
ი) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

ინფორმაცია ექსპერტის შესახებ

- სახელი გვარი: აკაკი ბლიაძე
- კვალიფიკაციის ცნობები: დანართი 1.

დეკლარაცია მოწოდებულ ინფორმაციაზე და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

წინამდებარე საექსპერტო შეფასების ანგარიშის დანიშნულებაა დამკვეთს მიაწოდოს საექსპერტო შეფასების შედეგები, რაც მისთვის საჭიროა დაპროექტებული შენობების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და

[5] *„მუხლი 25. სამშენებლო საქმიანობის ექსპერტი, მისი უფლებამოვალეობანი“* - შესაბამისად (ref.#: 57).

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მე, აკაკი ბლიაძემ ,არქიტექტორმა და სანებართვო საქმიანობის ექსპერტმა, მოვამზადე რა წინამდებარე ანგარიში, რომელიც ეფუძნება კონტრაქტორი კომპანიის მიერ მოწოდებული ტდ-ს, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მასვე, ხელისმოწერით ვადასტურებ შეფასების ფარგლებში ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და შესაბამისობას რეგლამენტებთან (**ref.#: 61**, **ref.#: 57**, **ref.#: 41**).

ანგარიში არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დანიშნულებით, გარდა ამ ანგარიშში მოყვანილი რეგლამენტებით (**ref.#: 57**, **ref.#: 41**) უშუალოდ გათვალისწინებულისა. ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ შემოწმებული ტდ-ის რეგლამენტებთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე, ან/და მშენებლობის პროცესში მისგან გადახვევაზე.

ექსპერტი

ა.ბლიაძე

3/18/2021, თბილისი

გამოვლენილი გარემოებები:

შენიშვნა:

N		*ამ პარაგრაფში გამოყენებული აღნიშვნები*
1.	×	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის სრულად შესაბამისი*
2.	—	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი არის ნაწილობრივ შესაბამისი*
3.	□	*მითითებულ ადგილას კომპონენტის სტატუსი განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ*

შესწავლილ იქნა შენობის ტდ, ზემოხსენებულ რეგლამენტებთან (**ref.#: 57, ref.#: 41**) მიმართებაში და გამოვლენილ იქნა შემდეგი გარემოებები:

1. **არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა:**



სურათი 1. ტდ ვიზუალიზაციის გვერდი

1.1. „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობის ანალიზის ნაწილში:

N	კომპონენტი	გააჩნია	არ გააჩნია
1.	თითოეული დაკავებულობისა და გამოყენების აღწერა	×	
2.	კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი	×	
3.	სიმაღლის შეზღუდვები	×	
4.	ფართობის შეზღუდვები	×	
5.	გარე კედლის ცეცხლმედეგობა და ღიობები	×	
6.	ხანძრისაგან დაცვის სისტემები	×	
7.	მოთხოვნები გასასვლელებისადმი	×	
8.	მისაწვდომობა	×	
9.	იატაკის და სახურავის ანაწყობები	×	
10.	ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავები	×	
11.	წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები	×	

კომპონენტების ნუსხა 1

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები სრულად.

2. დაკავებულობ(ებ)ი და დაკავებულობის დატვირთვები:

ref.#: 41. თავი 3, ცხრილი 302, ქვეთავი 403 და 406

დაკავებულობები

საპროექტო შენობის გამოყენებები და შესაბამისი დაკავებულობები განსაზღვრულია წესების მე-3 თავის შესაბამისად. წესების თანახმად, შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული **302.1** ქვეთავის თანახმად. საპროექტო ობიექტის ძირითადი დაკავებულობის ჯგუფი არის **სც-2**, რომელიც შენობის თორმეტ სართულზეა (1-12) განთავსებული. მასთან ერთად შენობაში მიწის დონის ქვედა სართულზე **სწ-2** ჯგუფის (ღია ავტოსადგომი გარაჟი) დაკავებულობები, რომლისთვისაც დაცულია **406** ქვეთავის მოთხოვნები. მიწის დონის ქვედა სართულზე ასევე გვხვდება **დს** ჯგუფის დაკავებულობა, რომელიც ტექნიკურ ოთახებს (წყლის ტუმბოსთვის) წარმოადგენს, თუმცა **508-ე** ქვეთავის შესაბამისად, ვინაიდან აღნიშნული სივრცის ფართობი არ აღემატება ამავე სართულის ფართობის 10%-ს, იგი ცალკე არ კლასიფიცირდება და იანგარიშება სართულის ძირითადი დაკავებულობის საანგარიშო ფართობში.

შენობაში თანმხლები გამოყენებები, რაც მოცემულია *ცხრილი 509*-ში, პროექტით არ არის გათვალისწინებული და *წესების* თანახმად დაკავებულობის აუცილებელი გამიჯვნის დებულებები არ ვრცელდება.

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

გამოყენება	დაკავებულობის ჯგუფი	S (m²)	ლოკაცია	
			ნუმერაცია	სართული
ავტოსადგომი	სწ-2	438.0	N1-ა.ს.	-1
ტექნიკური ოთახი				
საცხოვრებელი	სც-2	441.7	N1-5	1
		486.6	N6-71	2-12

დაკავებულობების დატვირთვები

საპროექტო შენობების დაკავებულობების დატვირთვების ანგარიშისთვის გამოყენებულია დ.დ.ფ. მაჩვენებლები ცხრილი 1004.1.2-დან.

პროექტში ინდივიდუალური სივრცეებიდან გასასვლელებისკენ შუალედური ოთახები ან სივრცეები არ გვაქვს, შესაბამისად დაგროვებული დატვირთვა არ გვხვდება არც-ერთ სივრცეში.

დამხმარე გამოყენება პროექტის მიხედვით არის დერეფანი და გზა-კიბე, რომელიც დაანგარიშებულია იატაკის ფართობებში[6] იმ დაკავებულობებთან ერთად, რომელსაც ის ემსახურება.[7]

დაკავაბულობის დატვირთვის ანგარიში შესრულებულია ცალკე სივრცეებისთვის და ცალკე სართულებისთვის, რადგან აღნიშნულზეა დამოკიდებული თითეულის გასასვლელი საშუალების ზომა და რაოდენობა.

ცხრილი 1. სივრცეების დ.დ.

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სივრცე		დატვირთვა		
		ნუმერაცია	სართული	S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სწ-2	შემოზღუდული ავტოსადგომი	ა.ს.	-1	377.5	18,6	21
	ტექნიკური ოთახი	N2		24.4	27,9	1
სც-2	საცხოვრებელი	N1	1-12	45.8	18,6	3
		N2		48.4		3
		N3		78.8		5
		N4		60.5		4
		N5		54.6		3
		N6; N12; N18; N24; N30; N36; N42; N48; N54; N60; N66		49.4		3
		N7; N13; N19; N25; N31; N37; N43; N49; N55; N61; N67		51.7		3
		N8; N14; N20; N26; N32; N38; N44; N50; N56; N62; N68		75.1		5

[6] სადაც მოთხოვნილია დაკავებულობის დატვირთვის ანგარიში იატაკის მთლიანი ფართობით.

[7] ამასთან მათი ცალკე დაკავებულობად კლასიფიცირება და დატვირთვის დაანგარიშება არ ხდება, რადგან წარმოადგენენ შენობის ცირკულაციისთვის განკუთვნილ, დაუკვაბელ სივრცეებს.

Make Expertise Work For You!
© SDMI & Georgia

		N9; N15; N21; N27; N33; N39; N45; N51; N57; N63; N69		52.0		3
		N10; N16; N22; N28; N34; N40; N46; N52; N58; N64; N70		75.3		5
		N11; N17; N23; N29; N35; N41; N47; N53; N59; N65; N71		74.4		4

ცხრილი 2. სართულების დ.დ.

დაკავებულობის ჯგუფი	სივრცის დანიშნულება	სართული	დატვირთვა		
			S (m²)	დ. დ. ფ.	დ.დ.
სწ-2	ღია ავტოსადგომი, ტექნიკური ოთახები (მათ შორის, გზა-კიბე, ლიფტი)	-1	438.0	18,6 (მთლიანი)	24
სც-2	საცხოვრებელი (მათ შორის, დერეფანი, გზა-კიბე, ლიფტი)	1	441.7	18,6 (მთლიანი)	24
		2-12	484.6		27

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

3. კონსტრუქციის ტიპ(ებ)ი, სიმაღლე და ფართობი:

ref.#: 41. ცხრილი 503

კონსტრუქციის ტიპები პირდაპირ კავშირშია შენობისათვის დასაშვებ სიმაღლესთან და ფართობთან, მათი გამოყენების/დაკავებულობის საფუძველზე. წესების საუკეთესო საერთაშორისო გამოყენება გვკარნახობს, რომ დამპროექტებელმა ჯერ უნდა განსაზღვროს სასურველი გამოყენება/დაკავებულობის ჯგუფი, ამის შემდეგ გამოიყვანოს სასურველი სიმაღლე და ფართობი, და ბოლოს — განსაზღვროს კონსტრუქციის ტიპი.[8] ამის შემდგომ, განისაზღვრება ცეცხლმედეგობის მიმართ მოთხოვნები ცხრილი 601 და 602.

3.1. საპროექტო შენობების მაქსიმალური სიმაღლეები და ფართობები შერჩეულია სწორად *წესების* თავი 5 ცხრილი 503-ის მიხედვით, დაკავებულობის ჯგუფის გათვალისწინებით:

ცხრილი 3. სიმაღლე და ფართობები

დაკავებულობის ჯგუფი	დაგეგმილი		
	შენობის სიმაღლე (მ)	სართულიანობა	S (m²)
სწ-2	36.80	-1	441.7
სც-2		12	484.6

3.2. დაგეგმილი დაკავებულობის ჯგუფის და შენობის პარამეტრების მიხედვით, მიღებულია მაქსიმალური შემზღუდავი (მარცხნიდან-მარჯვნივ რიგის მიხედვით)

[8] მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობის ანალიზში ყოველთვის ჯერ კონსტრუქციას უთითებენ და შემდეგ ფართობსა და სიმაღლეს.

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

ფართობები და სიმაღლეები:

ცხრილი 4. სიმაღლე და ფართობი შესაბამისი წესებიდან

დაკავებულობის ჯგუფი	მაქსიმალური დასაშვები			კონსტრუქცია	
	სიმაღლე (მ)	სართულიანობა	S (m²)	ტიპი	კლასი
სწ-2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	I	A
სც-2		შეუზღუდავი	შეუზღუდავი		

3.3. საპროექტო შენობების კონსტრუქციის ტიპი **შერჩეულია** ფართობისა და **სიმაღლეების** გათვალისწინებით და ყველა ობიექტის კონსტრუქციის ტიპად მიღებულია I (A).

3.4. ცეცხლმედეგობის ანგარიშისთვის გამოყენებულია ცხრილი 601, მიუხედავად იმისა, რომ ანალიზში ცალკე არ არის მოცემული ცეცხლმედეგობის ამოკრებილი ცხრილი, მოთხოვნები პროექტით სწორად არის განსაზღვრული. კერძოდ:

- **სტრუქტურული ჩარჩო:** 2 სთ > გათვლილია 4სთ-ზე მეტი (40-40; 40-60; 40-80; 40-100 სმ კრემნიუმის ბეტონის სვეტები იხ. ცხრილი 722.2.4; 25სმ კრემნიუმის დიაფრაგმა. იხ. ცხრილი 722.3.2)
- **გარე მზიდი კედლები:** 2 სთ > ასეთი არ გააჩნია
- **შიგა მზიდი კედლები:** 2 სთ > ასეთი არ გააჩნია
- **შიგა არამზიდი კედლები:** 0 სთ > გათვლილია 1 სთ – ტიხრები ბინებში და 4სთ_ზე მეტი კედლები საცხ. ერთეულებს შორის (20 სმ კაჟბადის ხრეშის ბეტონის წყობის ერთეული (ბლოკი). იხ. ცხრილი 721.1(2))
- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 1½ სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

3.5. **ტიპი I (A)** კონსტრუქციისთვის, ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით მიღებულია *სწორად*, ცხრილი 602 შესაბამისად.

ცხრილი 5. გარე კედლების ცეცხლმედეგობის შეფასება

ღერძები / მონაკვეთები	დაკავებულობა	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი – X (მ)	კონსტრუქციის ტიპი	ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული
„5-1“ „1-5“	სც-2	X ≥ 9	I (A)	0 სთ	>4 სთ
„5-1“ „1-5“	სწ-2	X ≥ 9		0 სთ	>4 სთ
„ა-დ“ „დ-ა“	სწ-2;სც-2	0,2მ; X ≥ 9;		2 სთ	>4 სთ

კერძოდ, ორი გრძივი გარე კედელი(„5-1“ და „1-5“) 9 მეტრზე მეტითაა დაშორებული საკადასტრო საზღვრებიდან და მომიჯნავე შენობებიდან შესაბამისად არ მოეთხოვება ცეცხლედეგობა, მაგრამ პროექტით გათვალისწინებულია 4 საათიანი, ხოლო ორი განივი ფასადი „ა-დ“ და „დ-ა“ არის ყრუ ტორეცები, რომელთაც მოეთხოვებათ 2 სათიანი ცეცხლმედეგობა და პროექტით გათვალისწინებულია 4 საათიანი.

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

4. **გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:**

4.1. გასასვლელთან მისადგომი: გასასვლელთან მისადგომი 1014 – 1019 ქვეთავების შესაბამისად არის დაპროექტებული. შუალედური სივრცეები პროექტში არ გვხვდება. დაცულია 1014 ქვეთავის მოთხოვნები, გასასვლელისაკენ სავალი საერთო ბილიკის მიმართ ცხრილი 1014.3-ის შესაბამისად:

ცხრილი 6. საერთო სავალი ბილიკის შეფასება

სართული	დაკავებულობა		გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური საერთო ბილიკი [9]		
	ჯგუფი	დატვირთვა	საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	სწ-2	< 30	არა	30 მ	25,0 მ
1-12	სც-2	> 30		23 მ	15.0 მ

4.2. გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა-კარები: კომპონენტების რაოდენობის გამოთვლა შესრულებულია შესაბამისი დაკავებულობის დატვირთვების საფუძველზე, **ცხრილი 1015.1**, 1015.1 და 1015.1.1 პარაგრაფების გათვალისწინებით და დაცულია წესების მოთხოვნები. ქვემოთ მოცემულია თითოეული დაკავებული სივრციდან გასასვლელის გზა-კარების რაოდენობის ანგარიში:

ცხრილი 7. გზა-კარების რაოდენობის შეფასება სივრცეებისთვის

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	სივრცე	დამკავებელთა დატვირთვა		სივრციდან გასასვლელის გზა-კარის რაოდენობა	
			მაქსიმალური	არსებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	სწ-2	ა.ს	29	21	1	1
		N1		1	1	1
1-12	სც-2	N1,2,5,6,7,9,12,13,15,18,19,21,24,25,27,30,31,33, 36,37,39,42,43,45,48,49,51,54,55,57,60,61,63,66, 67,69,	10	3	1	1
		N 4,11,17,23,29,35,41,47,53,59,65,71		4	1	1
		N3,8,10, ,14,16,,20,22,26,28,32,34,38,40,44,46,50,52,56,58 ,62,64,68,70		5	1	1

[9] ცხრილში აღწერილია და შეფასებულია ყველაზე მკაცრი მოთხოვნის მქონე სივრცეები (ანუ ყველაზე დაშორებული).

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

4.3. თითოეულ სართულზე, გასასვლელის გზა-კარებისთვის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნები, კერძოდ გასასვლელის გზა-კარები ერთმანეთისგან დაცილებულია წესების შესაბამისად რაც გრაფიკულად არის ასახული პროექტში.

4.4. ვინაიდან საპროექტო ობიექტი წარმოადგენს მაღლივ[10] შენობას, 12 სართულით, წესების შესაბამისად მოეთხოვება 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია. დაცულია 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნა და გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისგან დაცილებულია შენობის საერთო დიაგონალის მაქსიმალური სიგრძის არანაკლებ მეოთხედით, 7,85-მეტრზე მეტად.

4.5. <u>გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილი:</u> სწორად არის მიღებული საპროექტო გასასვლელთან მისადგომების სავალი მანძილები, 1016.2 ცხრილის საფუძველზე და ასახულია პროექტში. კერძოდ, ყველაზე მკაცრი მაქსიმალური სავალი მანძილი დაცულია:

ცხრილი 8. მაქსიმალური სავალი მანძილები

სართული	დაკავებულობა	გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი		
		საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	სწ-2	არა	90	25,0 მ
1-12	სც-2	არა	60	19.0 მ

4.6. <u>დერეფნები:</u>

4.6.1. დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 1018.1 ცხრილის მიხედვით:

ცხრილი 9. დერეფნების ცეცხლმედეგობა

სართული	დაკავებულობა	დ.დ	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათებში)		
			საშხეფი სისტემა	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	სწ-2	< 30	არა	0	-
1-12	სც-2	< 10		2	> 4სთ

4.7. <u>შენობიდან გამოსასვლელი:</u> პროექტით დაცულია 1027.1 ქვეთავის მოთხოვნები.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

5.1. გზა-კიბეების და სხვა საშუალებების გამტარუნარიანობა მოწყობილია **1022** ქვეთავების შესაბამისად. მათი გამტარუნარიანობა მიღებულია **1005.3.1** და **1005.3.2 ქვეთავების** შესაბამისად და აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს:

[10] შენობა, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მ-ზე ზემოთ.

ცხრილი 10. გამტარუნარიანობის შეფასება

სართული	დაკავებულობის ჯგუფი	დ.დ.	კომპონენტი	გამტარუნარიანობა		
				გამტარუნარიანობის ფაქტორი (სმ)	მოთხოვნილი სიგანე (სმ) [11]	გათვალისწინებული სიგანე (სმ)
-1	სწ-2	24	გზა-კიბე	0,76	18.2	135
			დერეფანი	0,51	-	-
			გზა-კარი	0,51	12.2	92
1-12	სც-2	27	გზა-კიბე	0,76	19.8	135
			დერეფანი	0,51	13.3	180
			გზა-კარი	0,51	13.3	92

5.2. უზრუნველყოფილია უწყვეტობა შენობაში;

5.3. გზა-კიბის ბაქნების სიგანე არანაკლებია გზა-კიბის სიგანისა;

5.4. **1009.16** ქვეთავის მიხედვით, დაუკავებელ სახურავი მისადგომია გზა-კიბით;

5.5. დერეფნის მინიმალური ზომები მიღებულია **ცხრილი 1018.2** გათვალისწინებით და არის **1,8 მეტრი ,** მაშინ როცა მინიმალურია 1,2 მ.

ცხრილი 11. დერეფნის სიგანე

სართული	დაკავებულობა	დერეფნის მინიმალური სიგანე	
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	სწ-2	-	-
1-12	სც-2	1,20 მ	1,8 მ

5.6. კარების მინიმალური ზომები მიღებულია ქვეთავი 1008.1.1 მიხედვით: არანაკლებ, 82 სმ თავისუფალ სიგანე.

5.7. დაცულია ქვეთავი 1008.1.2-ის მოთხოვნები კარებთან მიმართებაში.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

6. მისაწვდომობის შეფასება

საპროექტო დაკავებულობებთან მიმართებაში პროექტის მიხედვით:

6.1. ლიფტები: შენობაში გამოყენებულია 1007.2.1 და 1007.4 ქვეთავის შესაბამისი აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი ლიფტი შემოზღუდული ფოიეთი 713.14.1. **ლიფტის შახტის დაწნევა ამ შემთხვევაში აღარ არის აუცილებელი (**713.14.1 **გამონაკლისი 6**. ლიფტის შემოზღუდული ფოიეები საჭირო არ არის , თუ ლიფტის შახტა არის დაწნევადი 909.21 ქვეთავის შესაბამისად). **ვინაიდან გზა კიბისთვის მოეწყო ცალკე დაუკვამლიანებელი ტამბური, ლიფტს აქვს შემოზღუდული ფოიე და დაწნევის სისტემა აღარ ჭირდება.**

6.2. **გზა-კიბეები.** „იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის

[11] იანგარიშება ჯამური სიგანე, რაც უნდა დააკმაყოფილოს ყველა გასასვლელის კარმა ერთად აღებულმა, რომელიც ემსახურება კონკრეტულ დაკავებულობას.

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან, ან ჰორიზონტალური გასასვლელიდან". (1007.3 ქვეთავი); ზემოაღნიშნული გათვალისწინებულია გზა-კიბის სიგანის ნაწილში, თუმცა 1007.3 ქვეთავის მე-6 გამონაკლისის თანახმად სწ და სც-2 ჯგუფის დაკავებულობებს თავშესაფრის ფართობი არ მოეთხოვება.

6.3. **კარები:** თავისუფალი სიგანე ≥ 82 სმ (ერთი ფრთა); თავისუფალი სიმაღლე ≥ 205 სმ (1008 ქვეთავი);

6.4. **მისაწვდომი სვლაგეზი**: მიწის ნაკვეთზე და შენობაში — მიწისპირა დონე შენარჩუნებულია, შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზი (ასახულია ნახაზებზე).

6.5. **ავტოსადგომი**: დაცულია 1106.2 ქვეთავის მოთხოვნები, ავტოსადგომების საერთო რაოდენობა შეადგენს 10 ერთეულს, შესაბამისად, გათვალისწინებულია 1 მისაწვდომი ავტოსადგომი. ასევე გარე ავტოსადგომებზე გათვალისწინებულია დამატებით 2 მისაწვდომი ავტოსადგომი, მაშინ როდესაც მოეთხოვება დამატებით მხოლოდ 1.

6.6. **ტუალეტისა და სააბაზანოს მოწყობილობები:** პროექტით გათვალისწინებულია **1107.6.2** ქვეთავის მოთხოვნა „ა" ტიპის ბინებთან დაკავშირებით, ხოლო „ბ" ტიპის ბინების შემთხვევაში გამოყენებულია **1107.2** ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნა - მრავალბინიან შენობებში საცხოვრებელი ერთეულები (მუდმივი საცხოვრებელი ერთეულები (ბინები)) დასაშვებია დაგეგმარდეს და აიგოს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ბინის ICC A117-ის შესაბამის მისაწვდომ ერთეულად, ა ტიპის ერთეულად ან ბ ტიპის ერთეულად მოწყობა", რის შესაძლებლობასაც იძლევა პროექტი.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

7. **გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:**

7.1. ფასადები სადაც ღიობებია გათვალისწინებული, წესების თანახმად სხვადასხვა ოდენობით იზღუდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, გარე კედლის ღიობების ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წესების შესაბამისად არის დაგეგმარებული (ცხრილი 705.8)

ცხრილი 12. ღიობების მაქსიმალური ფართობების ანგარიშის ცხრილი პროექტიდან

ღერძები / მონაკვეთები	ნიშნული	ფართობები (კვ.მ)			ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი	დაცვის ხარისხი	დასაშვები ფართობი (%)	გათვალისწინებული
		ფასადის	ღიობის					
			დაცული	დაუცველი				
„1-5" „5-1"	ყველა	-	-	-	9.0 მ ან მეტი	დაუცველი საშხეფით	შეუზღუდავი	-

ვინაიდან საპროექტო შენობის ყველა ღიობიანი ფასადი საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 9 მ-ზე მეტი მანძილით, ღიობების ფართობი შეუზღუდავია და არ საჭიროებს დამატებით ანგარიშს.

7.2. პარაპეტისთვის დაცულია **705.11** ქვეთავის მოთხოვნები.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

8. **იატაკის და სახურავის ანაწყობების შეფასება**

8.1. შესრულებულია წესების მოთხოვნათა დაცვით. იხ. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- **იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** 2 სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))
- **სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები:** $1^{1/2}$ სთ > გათვლილია 4 სთ-ზე მეტი (20 სმ კაჟბადის შემავსებლიანი ბეტონის ფილა. იხ. ცხრილი 721.1(3))

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

9.1. შენობაში შერეული დაკავებულობები არ ფიქსირდება. ხოლო ერთი ტიპის დაკავებულობები (ბინები სც-2) ერთმანეთისაგან გამიჯნულია 4-საათიანი გამმიჯვნელით (მოეთხოვება 2 საათიანი) .

9.2. **შეფასება:** ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

10. **ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება:**

ref.#: 41,

<u>ავტოსაშხეფი სისტემა:</u>

შენობის ქვედა სართულზე არსებული ავტოსადგომი წარმოადგენს ღია ავტოსადგომს და შესაბამისად ავტოსაშხეფი სისტემა არ მოეთხოვება, კერძოდ:
ღია ავტოსადგომი გარაჟი. ნაგებობა ან მისი ნაწილი, რომელსაც ორი ან მეტი მხრიდან აქვს **406.5.2** ქვეთავის შესაბამისი ღიობები და რომელიც გამოიყენება კერძო ავტომობილების სადგომად ან შესანახად.

406.5.2 ღიობები. ბუნებრივი განიავების მიზნით, ნაგებობას ორ ან მეტ გარე მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბრად განაწილებული ღიობები. თითოეულ დონეზე გარე კედლების ღიობების ფართობი უნდა შეადგენდეს დონის მთელ პერიმეტრზე კედლის ფართობის, სულ მცირე, **20%**-ს. ბუნებრივი განიავებისათვის განკუთვნილი ღიობების საერთო სიგრძე უნდა შეადგენდეს დონის პერიმეტრის, სულ მცირე, 40%-ს. შიგა კედლების, სულ მცირე, 20% უნდა იყოს გახსნილი, თანაბრად განაწილებული ღიობებით.
გამონაკლისი: თუ აუცილებელი ღიობები შენობის ორ მოპირდაპირე მხარეს თანაბრადაა განაწილებული, საჭირო არ არის ღიობების შენობის პერიმეტრის 40%-ზე მეტზე განაწილება.

პროექტით გათვალისწინებულია წარმოდგენილი მუხლების დაცვით დაპროექტებული ღია ავტოსადგომი (გახსნილი ღიობების პროცენტული რაოდენობა არის **20,6 %** იხ. შესაბამისი დასაბუთება). ისინი ერთმანეთის მოპირდაპირედაა და **406.5.2** გამონაკლისის შესაბამისად აკმაყოფილებს ღია ავტოსადგომის კრიტერიუმებს.

403.3 ავტოსაშხეფი სისტემა. (მაღლივი შენობები) N1 გამონაკლისის თანახმად:
ავტოსაშხეფი სისტემა საჭირო არ არის შემდეგ სივრცეებსა და ფართობებზე:

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

1. 406.5 ქვეთავის შესაბამისი ღია ავტოსადგომი გარაჟები

ვინაიდან ავტოსადგომი არაა შემოზღუდული და არის ღია , დამატებითი ტამბურიც არაა საჭირო.

903.2.8 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისის თანახმად სც-2 ჯგუფის მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებს, რომლის დაკავებული იატაკიც არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ ავტოსაშხეფი სისტემა არ მოეთხოვება.

10.1. სახანძრო მილდგარების სისტემა: გათვალისიწინებულია **905.4** ქვეთავის შესაბამისი I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები.

შენიშვნა: სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან შეთანხმებით საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა **912**-ე ქვეთავის შესაბამისი სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.

10.2. ხელის ცეცხლმაქრი: **906.1** ქვეთავის 1-ლი პუნქტის გამონაკლისის შესაბამისად საცხოვრებელი ერთეულები აღჭურვილია 1-A ტიპის ხელის ცეცხლმაქრებით. **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობაში **906.3(1)** ცხრილის თანახმად გათვალისწინებულია 2 ცალი 2A კლასისი ხელის ცეცხლმაქრი, რომლისთვისაც დაცულია მაქსიმალური სავალი მანძილები.

10.3. ხელით სამართავი სისტემა:

907.2.9.1 ქვეთავის თანახმად **სც-2** ჯგუფის დაკავებულობებში ხელით სამართავი სახანძრო განგაშის სისტემაა მოწყობილი დერეფნებში თითო ყოველ სართულზე.

10.4. კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის ერთ- და მრავალბლოკიანი მოწყობილობები: სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში უნდა მოეწყოს **UL 217**-ის შესაბამისი მოწყობილობები, **NFPA 72**-ის და **907.2.11.2** ქვეთავის შესაბამსად ამავე ქვეთავში განსაზღვრულ ყველა საჭირო ადგილას.

10.5. კვამლის ავტომატური აღმომჩენი: უნდა განთავსდეს წესებით გათვალისწინებულ ადგილებში **907.2.13.1.1** და **907.2.13.1.2** ქვეთავების შესაბამისად.

10.6. სახანძრო განყოფილებასთან კავშირის სისტემა: **907.2.13.2** ქვეთავის თანახმად უნდა დაგეგმარდეს და დაყენდეს NFPA 72-ის შესაბამისად, ყველა საჭირო ადგილას.

10.7. სახანძრო განგაშის საკონტროლო ერთეულის დაცვა: **907.4.1** ქვეთვაის შესაბამისად ფართობებზე, რომლებიც მუდმივად არ არის დაკავებული, ერთი კვამლაღმომჩენი უნდა განთავსდეს სახანძრო განგაშის თითოეულ საკონტროლო ერთეულთან, შეტყობინების დანადგარის წრედის დამაგრძელებელთან და საზედამხედველო სადგურის გადამცემ მოწყობილობასთან.

10.8. 907.5.2.2 საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა: აუცილებელი საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დაყენდეს NFPA 72-ის შესაბამისად. ასევე უნდა განთავსდეს

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

რუპორები ლიფტების ჯგუფთან და გზა-კიბეებზე.

10.9. მხედველობითი განგაში: **907.5.2.3.4** ქვეთავის თანახმად ყველა საცხოვრებელ ერთეულში შესაძლებელი უნდა იყოს ვიზუალური განგაშის შეტყობინების მოწყობილობის მუშაობა, ICC A117.1-ის შესაბამისად.

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

11.1. წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობის საანგარიშოდ გამოყენებულია **1602.1** ცხრილი.

ცხრილი 13. აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები

სართული	აღწერილობა -დავალებულება	ზონა-სივრცე	დ.დ.[12] / საცხოვრებელი ერთეული	აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობები									
				უნიტაზები		ხელსაბანები		აბაზანები/ შხაპები		წყლის დასალევი შადრევნები		სამომსახურო; სამზარეულოს ნიჟარა	
				ქალი/კაცი		ქალი/კაცი							
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
-1	ავტოსადგომი, ტექნიკური ოთახები (სწ-2)	N1-ა.ს.	24	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
2-10	მრავალბინიანი სახლი (სც-2)	N1-71	5	ერთ საცხოვრებელ ერთეულზე									
				1	1	1	1	1	1	-	-	1	1

[12] თითოეული სქესის დამკვებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკვებელთა საერთო რაოდენობა ორზე უნდა გაიყოს.

Make Expertise Work For You!
© SDMI® Georgia

შეფასება: ამ ნაწილში დაცულია წესების მოთხოვნები.

დასკვნა:

ჩემს მიერ შესწავლილი ტდ-ის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტების (**ref.#: 41**, **ref.#: 57**) მოთხოვნათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ობიექტის სამშენებლო დოკუმენტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი შეესაბამება ხსენებული რეგლამენტების მოთხოვნებს და ეძლევა რეკომენდაცია მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

აკაკი ბლიაძე

3/18/2021, თბილისი

ექსპერტის მონაცემები

სახელი,გვარი----------აკაკი ბლიაძე

დაბადების თარიღი----------19 / 03 / 1985

მისამართი----------მუხიანი 1 მ/რ, კN17, ბ. N 128

ტელ. ნომერი ----------593 18 78 89

პროფესია----------არქიტექტორი

მუშაობის სტაჟი----------10 წელი

პროფესიული გამოცდილება------2007-2008 წწ. შპს „არხეოსი“ (არქიტექტორი)

2009-2011 წწ. შპს „პროფესიონალ

კონსულტანტთა ჯგუფი“ (არქიტექტორი)

2011-დღემდე შპს „st.ART“

(დირექტორი; არქიტექტორი)

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

BA № 005791

This is to certify that by the decision February 18, 2008.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Mr. Akaki Bliadze

born on March 19, 1985.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal *Dean of the faculty*

Rector

Tbilisi December 3, 2008. Registration No 06062

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

BA № 005791

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2008 წლის 18. 2 გადაწყვეტილებით,

აკაკი ბლიაძეს

დაბადებულს 1985 წლის 19 მარტს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 03/12/2008 რეგისტრაციო # 06062

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 308526
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11081591
ამონაწერის მომზადების თარიღი: 07/06/2011 11:39:08

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს st.ART
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანი I მ/რ, კორ. 13, ბ. 2
საიდენტიფიკაციო კოდი: 400022104
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 07/06/2011
მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ.ცენტრი გლდანი-ნაძალადევის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001026938, აკაკი ბლიაძე, დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01003012478, გიორგი კაპანაძე,	100.00000000%	400022104-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის